**საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით**

**ეთიკის კომისიის**

**გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

**დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე**

**პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:**

ირაკლი კორძახია – კოლეგიის თავმჯდომარე

ანა ხურციძე – კოლეგიის წევრი

ანა ლორია – კოლეგიის წევრი

**საჩივრის ავტორი:** ა. გ.

**საჩივრის ავტორის წარმომადგენელი:** ადვოკატი ა. ტ. /სიითი#/ სპეციალიზაცია - საერთო.

**საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი:** 21.05.2018

**საჩივრის რეგისტრაციის ნომერი:** 070/18

**ადვოკატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი** – ადვოკატი ა. ს. /სიითი N / სპეციალიზაცია - სისხლის სამართალი.

**საჩივრის მოთხოვნა:** ადვოკატ ა. ს.-სთვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

**I აღწერილობითი ნაწილი:**

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1. 2018 წლის 21 მაისს ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ა. გ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ა. ს.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2. საჩივრის ავტორის განმარტებით, 2017 წლის 30 სექტემბერს მას თავს დაესხა ორი ნასვამ მდგომარეობაში მყოფი დედა-შვილი ა. ჩ. და ლ. ჩ. და ჯგუფურად მიაყენეს მძიმე ფიზიკური დაზიანებები, რის შედეგადაც, დაკარგა მხედველობა მარჯვენა თვალში და გახდა მე-2 ჯგუფის

(უვადო) ინვალიდი. 2017 წლის 30 სექტემბერს თბილისის საპატრულო პოლიციამ დაიწყო გამოძიება ა. გ.-ის საქმესთან დაკავშირებით, ჯგუფური თავდასხმის ფაქტზე.

1.3. 2017 წლის 02 ოქტომბერს საჩივრის ავტორი ახლობლის მეშვეობით დაუკავშირდა ადვოკატ ა. ს.-ს, რომელსაც შეუთანხმდა ზემოაღნიშნულ საქმეზე საადვოკატო მომსახურების მიღების მიზნით და 2017 წლის 10 ოქტომბერს ჰონორარის სახით, ანგარიშზე ჩაურიცხა 2000 ლარი. ადვოკატმა ა. ს.-მ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება წერილობით გააფორმა საჩივრის ავტორის მოთხოვნის შემდეგ.

1.4. ადვოკატ ა. ს.-ს საქმესთან დაკავშირებით უნდა მოეგროვებინა მტკიცებულებები ა. გ.-ის მიმართ მიყენებული სხეულის მძიმე დაზიანების ფაქტზე და აღნიშნული წარედგინა გამომძიებლისთვის, საქმის სწორი კვალიფიკაციისთვის.

1.5. საჩივრის ავტორმა ადვოკატს დაუსახელა კონკრეტული მტკიცებულებები, მათ შორის სმს შეტყობინებები, ფოტოები, რომლებიც შესაძლებელი იყო გამომძიებლისთვის გადაეცათ, თუმცა ადვოკატმა საჩივრის ავტორს განუმარტა, რომ იმ ეტაპისთვის არ იყო აუცილებელი საქმეს დართვოდა აღნიშნული მასალები. ადვოკატმა ა. ს.-მ გამომძიებელს არ გადასცა სამედიცინო ცნობები, რომლებიც არსებითად მნიშვნელოვანი იყო საქმისთვის. გამომძიებელმა, თავისი ინიციატივით, გამოითხოვა კლინიკებიდან „ნ. ჰ.-დან“ და „დ.-დან“ შესაბამისი ინფორმაცია.

1.6. საჩივრის ავტორი თავისი ინიციატივით უკავშირდებოდა ადვოკატს საქმის თაობაზე ინფორმაციის მიღების მიზნით. საჩვრის ავტორი სთხოვდა ადვოკატს მისი დის გამოკითხვის საკითხზე ეშუამდგომლა გამომძიებელთან, რადგან ის მნიშვნელოვან ინფორმაციას ფლობდა, თუმცა ადვოკატი პასუხობდა - „დაველოდოთ ექსპერტიზის დასკვნას“. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი მხოლოდ ორჯერ დაესწრო საგამოძიებო ეტაპზე მის დაკითხვას, სხვა მხრივ, მას არაფერი გაუკეთებია.

1.7. ა. გ.-ს ადვოკატმა განუცხადა, რომ საქმისწარმოება სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობდა, თუმცა ახალი ადვოკატისთვის - ა. ტ.-სთვის მიმართვის შემდეგ, საჩივრის ავტორმა შეიტყო რომ ა. ს.-მა არასწორი ინფორმაცია მიაწოდა, რადგან, გამოძიება სსკ-ის 126-ე მუხლით იყო დაწყებული.

1.8. ა. გ.-მ თავისი ინიციატივით, საადვოკატო მომსახურების დაწყებიდან 6 თვის შემდეგ, 2018 წლის 30 მარტს ადვოკატი ა. ს. საქმიდან ჩამოაცილა, რადგან მიიჩნია, რომ მან ვერ გაუწია სათანადო იურიდიული მომსახურება, რის შესახებაც, წერილობით აცნობა ასევე თბილისის პროკურატურას.

1.9. 2019 წლის 12 აგვისტოს, განხილვის კოლეგიის სხდომის დაწყებამდე, ადვოკატმა ა. ს.-მ ა. გ.ს ანგარიშზე ჩაურიცხა 200 ლარი. საჩივრის ავტორის განცხადებით, ის ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ ადვოკატმა მისთვის გადაცემული 2000 ლარიდან საშემოსავლო გადასახადი გადაიხადა, თუმცა ა. გ. ითხოვს ადვოკატისაგან დამატებით 800 ლარის ჩარიცხვას, რადგან მას ამ თანხის პროპორციულად მომსახურება არ გაუწევია.

1.10. საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განცხადებით, ადვოკატ ა. ს.-ს ა. გ.-სთან გაფორმებულ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებაში ზოგადად აქვს მითითებული, რომ შეთანხმებული ჰონორარის გარდა, დამატებითი თანხა უნდა გადაეხადა კლიენტს და თანხის ოდენობა

დამოკიდებული იყო შედეგზე, ამასთან, ადვოკატს მითითებული აქვს, რომ გადახდილი ჰონორარი უკან არ ბრუნდება.

**2. ადვოკატის პოზიცია:**

2.1 ადვოკატი არ ეთანხმება საჩივარში წარმოდგენილ პრეტენზიას იმის თაობაზე, რომ მან უარი განაცხადა გამოძიებისთვის მიეწოდებინა ა. გ.-ის საქმის თაობაზე მნიშვნელოვანი მტკიცებულებები. ადვოკატის განმარტებით, მან საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების გაფორმებისას, საჩივრის ავტორს შეღავათი გაუწია და ჰონორარის სახით გადაახდევინა მხოლოდ 2000 ლარი.

2.2 ადვოკატმა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებაში მიუთითა, რომ ის წარადგენდა ა. გ.-ის ინტერესებს საქართველოს შს სამინისტროში, თბილისის პროკურატურაში და სასამართლოში. ადვოკატის განცხადებით, საქმისწარმოების საგამოძიებო ეტაპზე მან განახორციელა იურიდიული მოქმედებები, სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის ეტაპზე, ის სამართლებრივად დაეხმარებოდა ა. გ.-ს, როგორც დაზარალებულ პირს. იმ შემთხვევაში, თუ დადგებოდა სასურველი შედეგი, საჩივრის ავტორს დამატებითი თანხა უნდა გადაეხადა ადვოკატისთვის, რის თაობაზეც ადვოკატმა ა. გ.-სთან გაფორმებულ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებაშიც მიუთითა.

2.3 ადვოკატის განმარტებით, ხელშეკრულებაში მითითებულ „სასურველ შედეგში“ იგულისხმებოდა საქმის ა. გ.-ის სასარგებლოდ დასრულება. კერძოდ, იმ შემთხვევაში, შედეგი, როდესაც სისხლის სამართლის საქმეზე პასუხისგებაში მიეცემოდა დამნაშავე პირი და ა. გ. მოითხოვდა მიყენებული ზიანის ანაზღაურებას.

2.4 ადვოკატის განცხადებით, მას თანხა არ აქვს დასაბრუნებელი კლიენტთან, რადგან საჩივრის ავტორმა საადვოკატო მომსახურების ჰონორარი ჩარიცხა შპს „ჯ. ლ.-ს“ ანგარიშზე და შესაბამისად, აღნიშნული თანხა დაბეგრილია სახელმწიფოს მიერ. ამასთან, ხელშეკრულებაში ადვოკატმა მიუთითა, რომ ჰონორარის სახით გადახდილი თანხა უკან არ ბრუნდება.

2.5 საჩივრის ავტორი თავდაპირველად, კმაყოფილი იყო ადვოკატის გაწეული საადვოკატო მომსახურებით. ადვოკატი ა. ს. მონაწილეობას იღებდა საგამოძიებო ორგანოს მიერ ა. გ.-ის დაკითხვის პროცესში. ადვოკატმა ყურადღება გაამახვილა მნიშვნელოვან დეტალებზე, მათ შორის იმის თაობაზე, რომ ლ. ჩ. შეგნებულად ურტყამდა ნაოპერაციებ თვალში ა. გ.-ს. ადვოკატმა გამომძიებელს წარუდგინა სამედიცინო დოკუმენტი - ფორმა 100 საქმეზე დასართავად, თუმცა გამომძიებელმა უთხრა, რომ ისინი თავადაც გამოითხოვდნენ ამ დოკუმენტს. ადვოკატი განმარტავს, რომ ა. გ.-ის მითითებით, იმ შემთხვევაში, თუ საგამოძიებო ორგანო გამოითხოვდა დოკუმენტს, მისი დართვა აღარ იყო საჭირო.

2.6 ადვოკატმა საგამოძიებო ორგანოს მიაწოდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ „ნ. ჰ.-ში“ დაფიქსირდა ა. გ.-სათვის მიყენებული ზიანი, აგრეთვე, ის გარემოება, რომ ა. გ. თვალის დაზიანებამდე და დაზიანების შემდეგ, მკურნალობდა სამედიცინო კლინიკაში - „დ.“, თუმცა ექსპერტიზის დასკვნაში არ იყო ასახული იმ კლინიკის ისტორია, რაც დაკითხვის დროს მიუთითეს, ამიტომ ადვოკატ ა. ს.-ს მოთხოვნის საფუძველზე საგამოძიებო ორგანომ დანიშნა დამატებითი ექსპერტიზა.

2.7 ადვოკატი ა. ს. ხშირად უკავშირდებოდა გამომძიებელს საქმესთან დაკავშირებით, მათ შორის, საგამოძიებო ორგანოსგან მიიღო ინფორმაცია, იმის თაობაზე, რომ ექსპერტიზამ მოითხოვა სამედიცინო კლინიკაში ჩატარებული კვლევების და მკურნალობის შესახებ დოკუმენტაცია, რაც ადვოკატის დახმარებით იქნა მოძიებული.

2.8 ადვოკატის განცხადებით, იმისათვის, რომ ა. გ.-ის მეორე ჯგუფის ინვალიდობის ცნობა დამატებულიყო სამედიცინო ისტორიას, დაუკავშირდა სამედიცინო კლინიკა „დ.-ის" ექიმს. ამის შემდგომ, ადვოკატმა საჩივრის ავტორს შესთავაზა კერძო ექსპერტიზის საქმეში ჩართვა, თუმცა ა. გ.მ ამის თაობაზე უარი განაცხადა.

2.9 ადვოკატის განცხადებით, მის მიმართ ა. გ.-ის დამოკიდებულება საადვოკატო მომსახურების დაწყებიდან 4 თვის შემდეგ შეიცვალა, რაც გამოიხატებოდა საქმესთან დაკავშირებით ისეთი სახის შეკითხვების დასმაში, რითიც იგრძნობოდა, რომ „ვიღაც ცუდად, არასწორად, არასრულად აკვალიენებდა მას და ეს იყო ადვოკატი ა. ტ.". ადვოკატთან საჩივრის ავტორი გამოხატავდა პრეტენზიას იმის თაობაზე, რომ ექსპერტიზის დასკვნა დროულად არ იყო მომზადებული.

2.10 ადვოკატი ა. ს. შეუთანხმდა ა. გ.ს, რომ დაელოდებოდნენ ექსპერტიზის დასკვნას, რის შემდგომაც, შეხვდებოდნენ პროკურორს და შეთანხმდებოდნენ, რომელი მტკიცებულების დართვა იქნებოდა რელევანტური საქმისთვის, თუმცა საჩივრის ავტორმა აღნიშნულ ეტაპზე შეწყვიტა ურთიერთობა და მოითხოვა გადახდილი ჰონორარის უკან დაბრუნება.

2.11 ა. გ.-ის საქმეზე საადვოკატო მომსახურების განხორციელების პერიოდში, ადვოკატისთვის არ ყოფილა ცნობილი, რომ 2018 წლის 02 თებერვალს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ მოამზადა აქტი ექსპერტიზის დასკვნის შეუძლებლობის შესახებ, რომელიც 2018 წლის 13 მარტს ჩაბარდა დამკვეთის უფლებამოსილ წარმომადგენელს - საგამოძიებო ორგანოს. ადვოკატის განცხადებით, აღნიშნულის თაობაზე მისთვის გამომძიებელს ინფორმაცია არ მიუწოდებია.

2.12 ადვოკატის განცხადებით, საადვოკატო მომსახურება იმ ეტაპზე შეწყდა, როდესაც საჩივრის ავტორის საქმის სასარგებლოდ ძირითადი მოქმედებები განხორციელებული ჰქონდა და ელოდებოდნენ ექპსერტიზის დასკვნას, რის შემდგომაც დამნაშავე პასუხისგებაში მიეცემოდა.

2.13 ადვოკატის განმარტებით, იმის გათვალისწინებით, რომ მან ძირითადი მოქმედებები შეასრულა ა. გ.-ის საქმესთან დაკავშირებით და ამასთან, ჰონორარის ნაწილიც - 200 ლარი ეთიკის კომისიაში საქმის განხილვის ეტაპზე დაუბრუნა საჩივრის ავტორს, თანახმაა დამატებით, 800 ლარის ნაცვლად, როგორც ამას ა. გ. უთითებს თავის განმარტებაში, 200 ლარი დააბრუნოს მას.

**3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:**

3.1. 2019 წლის 19 თებერვალს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ა. ს.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2. საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ  იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება, რომ ადვოკატ ა. ს.-ს არ დაუბრუნებია საჩივრის ავტორისთვის - ა. გ.-სთვის მისგან მიღებული ჰონორარი, რომლის ფარგლებშიც მან აიღო ვალდებულება საადვოკატო მომსახურება გაეწია და აღნიშნული ვალდებულება ვერ შეასრულა, შესაძლოა, ადვოკატის მიერ დარღვეული იყოს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის შეწყვეტის დროს გამოუმუშავებელი ჰონორარის კლიენტისათვის დაბრუნების

ვალდებულება - ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის (შემდგომში „აპეკ“) 8.15 მუხლი, რაც დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველია. სხვა მუხლების შესაძლო დარღვევა საპროცესო სტადიაზე არ დადგინდა.

## II სამოტივაციო ნაწილი

**4. საქმის ფაქტები:**

4.1 ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი ფაქტები, რომლებიც უდავოა მხარეთა შორის:

4.1.1 ა. გ.სა და ადვოკატ ა. ს.-ს შორის გაფორმდა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება.

*ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:*

2017 წლის 04 ოქტომბრის შეთანხმება;

4.1.2 ა. გ.სა და ადვოკატ ა. ს.-ს შორის არსებული წერილობითი შეთანხმების მიხედვით, საადვოკატო მომსახურების საგანს წარმოადგენდა: „დაზარალებულ ა. გ.-ის ინტერესების დაცვა შს სამინისტროში, თბილისის პროკურატურაში და სასამართლოში“, რისთვისაც ჰონორარის სახით განისაზღვრა 2000 ლარი.

*ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:*

2017 წლის 04 ოქტომბრის შეთანხმება;

4.1.3 ა. გ.მ ადვოკატ ა. ს.-ს ჩაურიცხა ჰონორარის სახით 2000 ლარი.

*ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:*

2017 წლის 06 ოქტომბრის გადარიცხვის ქვითარი;

4.1.4 ადვოკატ ა. ს.-სა და ა. გ.ს შორის გაფორმებულ შეთანხმებაში მითითებულია: „დამატებითი თანხის შემოტანის ოდენობა დამოკიდებულია შედეგზე“; „შემოტანილი თანხა ჰონორარის სახით დაბრუნებას არ ექვემდებარება“.

*ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:*

2017 წლის 04 ოქტომბრის შეთანხმება;

4.1.5 2018 წლის 30 მარტს ა. გ.მ წერილობითი განცხადებით მიმართა თბილისის პროკურატურას ადვოკატ ა. ს.ს საქმიდან ჩამოცილების თაობაზე.

*ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:*

ა. გ.-ის პროკურატურისადმი მიმართული წერილი;

4.1.6 ადვოკატმა ა. ს.-მა, 2019 წლის 12 აგვისტოს, დისციპლინური საქმეზე ეთიკის კომისიაში სხდომის გამართვის დღეს, ა. გ.ს დაუბრუნა ჰონორარის ნაწილი - 200 ლარი.

მხარეთა ახსნა-განმარტებები (პუნქტები: 1.9, 2.14)

2019 წლის 12 აგვისტოს ჩარიცხის ქვითარი;

5. **შემაჯამებელი დასკვნა:**

ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, შეისწავლა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ა. ს.ს მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა - დარღვეულია აპეკ-ის 8.15 მუხლში განსაზღვრული ვალდებულება.

6. **სამართლებრივი შეფასება**

6.1. ადვოკატმა ა. ს.-მ ა. გ.-სთან გაფორმებულ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებაში მიუთითა შემდეგი პუნქტი: „შემოტანილი თანხა ჰონორარის სახით დაბრუნებას არ ექვემდებარება“. ასევე ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის შეწყვეტისას, მას გონივრულ ვადაში არ დაუბრუნებია კლიენტისთვის გადახდილი ჰონორარის ნაწილი. მოცემულ შემთხვევაში შესაფასებელია, ა) შესაბამისობაშია თუ არა ზემოაღნიშნული მუხლის გათვალისწინება ხელშეკრულებაში და ბ) არსებობდა თუ არა, გამოუმუშავებელი ჰონორარი, რომელიც ადვოკატს უნდა დაებრუნებინა კლიენტისთვის აპეკ-ის 8.15 მუხლის საფუძველზე:

> კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ... ფულადი სახსრები, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ... კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი (აპეკ, მუხლი 8.15).

6.2 შესაფასებელია, სთავაზობს თუ არა ადვოკატი კლიენტს, საადვოკატო მომსახურების პირობების შეთანხმებისას, პროფესიული ეთიკის კოდექსისაგან განსხვავებულ რეგულირებას. არსებობს ვალდებულებები, რომლიდანაც გადახვევა დაუშვებელია: მაგ. მოსარჩელის და მოპასუხის ერთობლივი წარმომადგენლობა ერთი საადვოკატო ბიუროს ადვოკატების მიერ; თუმცა არსებობს ვალდებულებები, სადაც ეს დასაშვებია, მაგ. კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულებიდან გამონაკლისები. პირველ შემთხვევაში, დაუშვებელია სახელშეკრულებო ურთიერთობებით ადვოკატმა და კლიენტმა პროფესიული ეთიკის ნორმებით დადგენილი სტანდარტები შეცვალონ, ხოლო მეორე შემთხვევაში მხარეთა შორის შეთანხმება ორ წინაპირობას უნდა აკმაყოფილებდეს: ა) შეთანხმება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს პროფესიული ეთიკის საფუძვლებს და ბ) უნდა არსებობდეს კლიენტის ინფორმირებული თანხმობა, ადვოკატის მიერ ყველა რისკის მისთვის შეტყობინების შემდეგ. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე წინაპირობა არ არის დაკმაყოფილებული, ეთიკის კომისია ვერ იმსჯელებს ეთიკური ნორმიდან განსხვავებული მოწესრიგების დასაშვებობაზე.

6.3 ადვოკატის მიერ აპეკ-ში დადგენილი ვალდებულებების საწინააღმდეგო მოწესრიგების გათვალისწინების შესაძლებლობასთან დაკავშირებით სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებში უზენაესმა სასამართლომ 2016 წლის 21 ნოემბერს საქმეზე დს-შ/17-16 დაადგინა „ხელშეკრულების თავისუფლება არ ქმნის დადგენილი პროფესიული სტანდარტის უარყოფის საფუძველს... საადვოკატო მომსახურების ოდენობა მხარეთა შეთანხმების საგანია და დისციპლინური პასუხისმგებლობის სფეროს მიღმა იმყოფება, პროფესიული ქცევის სტანდარტის სფეროს შეადგენს არა გასამრჯელოს ოდენობა, არამედ ადვოკატის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, შეთანხმებით გათვალისწინებული საადვოკატო მომსახურების

მოცულობისა და ფარგლების დაცულობა... იმ შემთხვევაში, როდესაც ადვოკატს კლიენტისაგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური, ხოლო წარმომადგენელმა, ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი, ხოლო დარჩენილი თანხა უნდა დაუბრუნოს კლიენტს. ადვოკატის პროფესიული ქცევის აღნიშნული სტანდარტი ემსახურება კლიენტის ინტერესებს და ადვოკატის ავტორიტეტის დაცვას, გამომდინარეობს ადვოკატის ვალდებულებიდან იმოქმედოს კლიენტის ინტერესებით, თავისი ქცევით პატივისცემას იწვევდეს კლიენტში“.

6.4 ხელშეკრულებით პროფესიული ეთიკის ნორმებიდან გადახვევის საკითხზე იმსჯელა ეთიკის კომისიამ ერთ-ერთ საქმეზე და განმარტა, შემდეგი - „მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატს არ გაუხმაურებია კონფიდენციალური ინფორმაცია, ადვოკატის მიერ კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულების დროში შეზღუდვის შესახებ მითითება ხელშეკრულებაში ეწინააღმდეგება ადოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მოთხოვნას - კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება არ არის შეზღუდულ დროში. დაუშვებელია ადვოკატმა, საკუთარ თავს, კლიენტთან დადებული ხელშეკრულებით მიანიჭოს ისეთი ქმედების განხორციელების უფლება, რასაც უკრძალავს პროფესიული ეთიკის ნორმები“ (ეთიკის კომისიის 2012 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტლება, საქმე #134/12).

6.5 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ფაქტობრივი დარღვევის არსებობის მიუხედავად, ადვოკატის მიერ პროფესიული ეთიკის სტანდარტებთან შეუსაბამო რეგულირების ჩაწერა ხელშეკრულებაში, წარმოადგენს დარღვევას.

6.2 განსახილველ შემთხვევაში, უდავოა, რომ ადვოკატმა შესთავაზა კლიენტს ხელშეკრულების ისეთი ჩანაწერი, რომელიც აპეკ-ის 8.15 მუხლის საწინააღმდეგო პირობა იყო, რადგან ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, არ ითვალისწინებდა გამოუმუშავებელი ჰონორარის უკან დაბრუნების შესაძლებლობას. შესაბამისად, ადვოკატ ა. ს.-ს მიერ პროფესიული ეთიკის საწინააღმდეგო რეგულირების ჩაწერა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებაში წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას, მიუხედავად იმ გარემოებისა, დაირღვა თუ არა, ფაქტობრივად, აღნიშნული მუხლით დადგენილი ვალდებულება.

6.3 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ  დამატებით, შესაფასებელია შემდეგი: ადვოკატმა ა. ს.-მა სრულად შეასრულა თუ არა მომსახურება, რაშიც მან ავანსის სახით მიიღო 2000 ლარი; წარმოადგენს თუ არა პროფესიული ვალდებულების ჯეროვან შესრულებას მიღებული თანხის ნაწილის წელიწადნახევრის შემდეგ დაბრუნება; არის თუ არა ადვოკატის მიერ საჩივრის ავტორისთვის დაბრუნებული 200 ლარი - შეუსრულებელი სამუშაოს პროპორციული.

6.4 „საადვოკატო მომსახურების საფასურს წარმოადგენს თანხა, რომელზეც ადვოკატი და კლიენტი წინასწარ თანხმდებიან გასაწევი იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ. შესაძლებელია, ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდეს ერთ-ერთი მხარის ნების საფუძველზე, ადვოკატის მიერ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე. კლიენტის მიერ გარკვეული მოცულობის სამუშაოს გასაწევად გადახდილი შეთანხმებული ჰონორარი არ მიიჩნევა ადვოკატის

მიერ სამართლიანად გამომუშავებულად, თუკი ადვოკატმა ვერ განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობითა და ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა. იმ შემთხვევაში როდესაც ადვოკატს კლიენტისგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური სრულად, ხოლო მან ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი და ვალდებულია დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს. აღნიშნული ეთიკური ვალდებულების დაცვა ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და ადვოკატის პროფესიულ სახეს, რომელიც თავისი ქმედებებით პატივისცემას უნდა აღძრავდეს კლიენტში და განამტკიცებდეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას“ (ეთიკის კომისიის 2016 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილება, საქმე №038/16).

6.5 ა. გ.სა და ადვოკატ ა. ს.-ს შორის საადვოკატო მომსახურების შეთანხმების საგანს წარმოადგენდა: „დაზარალებულ ა. გ.-ის ინტერესების დაცვა შს სამინისტროში, თბილისის პროკურატურაში და სასამართლოში“. ა. გ.მ წინსწრებით, ადვოკატ ა. ს.-ს ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების შესრულების მიზნით, ჩაურიცხა ჰონორარი 2000 ლარი, თუმცა მხარეებს არ განუსაზღვრიათ თითოეულ ეტაპზე განსახორციელებელი იურიდიული მოქმედებებისათვის ჰონორარის ოდენობა.

6.6 დგინდება, რომ ადვოკატს სრულად არ გაუწევია საადვოკატო მომსახურება. კერძოდ, ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა შეწყდა საგამოძიებო ორგანოში საქმისწარმოების ეტაპზე, როდესაც ა. გ.-მ თბილისის პროკურატურას მიმართა ადვოკატის საქმიდან ჩამოცილების თაობაზე (იხ.პუნქტი 4.1.5). შესაბამისად, ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის შეწყვეტის ამ ეტაპზე, ადვოკატს წარმოეშვა ვალდებულება დაებრუნებინა კლიენტისათვის გამოუმუშავებელი ჰონორარი, რადგან ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება სრულად ვერ შესრულდა იმ ჰონორარის ფარგლებში, რაც მან კლიენტისგან მიიღო.

6.7 კომისიამ იმსჯელა მეორე საკითხზე და აღნიშნავს, რომ ადვოკატის მიერ წელიწადნახევრის შემდგომ, ეთიკის კომისიაში საქმის აღძვრის შემდეგ ეტაპზე, ადვოკატის მიერ აპეკ-ის 8.15 მუხლის შესრულება (სრულად თუ ნაწილობრივ) და ზეპირად გამოხატული თანხმობა ადვოკატის მიერ დანარჩენი თანხის დაბრუნების თაობაზე ვერ შეცვლის იმ ფაქტს, რომ ადვოკატმა გონივრულ ვადაში არ დააბრუნა გამოუმუშავებელი ჰონორარი, გონივრული ვადა შეიძლება იყოს რამდენიმე სამუშაო დღე, ან თუ არსებობს ობიექტური გარემოება (ადვოკატის შვებულება, ავადმყოფობა და ა.შ.), მაშინ ამ ობიექტური გარემოების არსებობით ამ ვადის გაგრძელება. მოცემულ შემთხვევაში, რადგან ადვოკატებმა ცალკე უნდა შეინახონ ავანსის სახით გადაცემული ჯერ კიდევ გამოუმუშავებელი ჰონორარი (აპეკ, მუხლი 8.13), მისი დაუყოვნებლივ დაბრუნების შესაძლებლობაც და ვალდებულებაც არსებობდა.

6.8 რადგან დადგინდა აპეკ-ის 8.15 მუხლის დარღვევა, ეთიკის კომისიამ იმსჯელა ბრალის ხარისხზე და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის პროპორციულობაზე.

6.9 ადვოკატს, დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში შესაძლოა დაეკისროს დისციპლინური სახდელი (გაფრთხილება, საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება და

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა) ან/და ზემოქმედების ღონისძიება - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 34).

6.10 „დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი - კონკრეტულის სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის ჩადენილი გადაცდომის სიმძიმის და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/3-15, 01.04.2015).

6.11 „სახდელის დანიშვნის დროს ეთიკის კომისიის მიერ მხედველობაში მიიღება ის ზოგადი წესები, რომლებიც განაპირობებს სამართლიანი სახდელის დაკისრებას, პირის დასჯას მის მიერ ჩადენილი ქმედების თანაზომიერად. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ჩადენილი გადაცდომის ხასიათის, დამრღვევის პიროვნების, გადაცდომის სიმძიმის, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების მხედველობაში მიღებით, რაც სახდელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გატარების აუცილებელი პირობათაგანია“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/3-17, 22.05.2017).

6.12 მოცემულ შემთხვევაში, ეთიკის კომისია ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს და აქედან გამომდინარე არსებულ ზიანს, მათ შორის ადვოკატის დამოკიდებულებას დარღვეული ქმედების მიმართ. კერძოდ, ადვოკატმა საჩივრის ავტორს დაუბრუნა ჰონორარის ის ოდენობა - (მიღებული თანხის 10%), რაც მიიჩნია, რომ მას არ გამოუმუშავებია, რაც ერთი მხრივ, დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმის განსაზღვრის შემამსუბუქებელი გარემოებაა, თუმცა მეორე მხრივ, თანხის დაბრუნება მან განახორციელა ეთიკის კომისიაში მის მიმართ დისციპლინური საქმის აღძვრის შემდეგ, რაც დამამძიმებელი გარემოებაა.

6.13 დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმის განსაზღვრისას, ეთიკის კომისიამ ასევე გაითვალისწინა დაკისრებული პასუხისმგებლობა მსგავს დარღვევებზე. 2018 წლის 31 მაისის N098/17 გადაწყვეტილებაში, აპეკ-ის 8.15-თან ერთად დადგინდა მე-8 მუხლის მე-6, მე-12, მე-13 მუხლების და „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 6.2 მუხლით გათვალისწინებული ეთიკური ვალდებულებების დარღვევა, რის მიხედვითაც მოცემულ საქმეზე განისაზღვრა დისციპლინური სახდელი - გაფრთხილება. 2016 წლის 16 სექტემბრის №038/16 გადაწყვეტილებაში დადგინდა 8.15 მუხლის დარღვევა, მაგრამ ადვოკატს არ გამოუხატავს ნება დაებრუნებინა ჰონორარის ნაწილი კლიენტისთვის და დამდგარი ზიანის გათვალისწინებით დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვრა - გაფრთხილება.

6.14 ეთიკის კომისია ითვალისწინებს იმ გარემოებასაც, რომ გადაწყვეტილების გამოტანის დროს, ადვოკატს არ აქვს შეფარდებული სხვა დისციპლინური სახდელი, დადგინდა მხოლოდ 8.15 მუხლის დარღვევა, განსხვავებით 098/17 საქმიდან, ასევე განსხვავებით 038/16 საქმიდან ადვოკატმა დაუბრუნა კლიენტს, მისი აზრით, გამოუმუშავებელი ჰონორარი. ამ პირობებში, ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა იქნება ადვოკატის მიერ განხორციელებული პროფესიული ვალდებულების დარღვევის პროპორციული პასუხისმგებლობის ფორმა.

6.15 სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა წარმოადგენს  დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებას და შეიცავს  რჩევებს იმ ზომების შესახებ, რომელიც ადვოკატმა უნდა მიიღოს პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრისა და დისციპლინური დარღვევის ჩადენის თავიდან აცილების მიზნით.  კერძო სარეკომენდაციო ბარათით, როგორც მიმართვის ფაქტი, ასევე მისი  შინაარსი კონფიდენციალურია და იგი ადვოკატს ბარდება პირადად.

6.16 კომისიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლით, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების  33-ე, 35-ე მუხლით და 38-ე მუხლით და გადაწყვიტა:

## III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ  საქმეზე N070/18 ადვოკატ ა. ს.ს მიმართ /სიითი N/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია და ეგზავნება მხოლოდ ადვოკატს.
4. დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების თაობაზე ეთიკის კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ირაკლი კორძახია/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/

კოლეგიის წევრი: /ანა ლორია/